ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2917136

ნომერი: AR1449438

თარიღი : 17.10.2016

გაცემის თარიღი : 28.10.2016

გაცნობის თარიღი : 28.10.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვი , N 9ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ზაზა კაპანაძე პ/ნ 01029008470
- ოცხელის ქ. #32

ორგანიზაცია:
- უნი-ჯგუფი კოდი: 205253447

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ფანჩატური
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის ფანჩატურის განთავსების განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე;

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი–ისანი, გამზირი მოსკოვი , N 9ა -ში, შპს "კავშირგაბმულობის თანამედროვე ტექნოლოგიები"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. N 003/176) I კლასის ფანჩატურის განთავსების განხორციელებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ ჩასატარებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ. თბილისის არქიტექტურის სამსახური. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (მოქ.ზაზა კაპანაძის განცხადება, მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882016135134 საკადასტრო კოდი N 01.17.12.003.176 მინდობილობა , სიტუაციური გემნ-გეგმა , ესკიზური ნახაზები და საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი–ისანი, გამზირი მოსკოვი , N 9ა -ში, შპს "კავშირგაბმულობის თანამედროვე ტექნოლოგიები"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. N 003/176) I კლასის ფანჩატურის განთავსების შესაძლებლობას მისსავე საკადასტრო საზღვრების ფარგლებში;

აქვე გაითვალისწინეთ:

1 სამშენებლო მიწის ნაკვეთის საზღვარზე,მომიჯნავე მეზობლის მიწის ნაკვეთის მხარეს შენობის სახურავის მოწყობისას დამკვეთმა/ მესაკუთრემ უნდა უზრუნველყოს ისეთი საინჟინრო ღონისძიების განხორციელება, რაც ააცილებს ატმოსფერული ნალექის მოხვედრას მეზობლის მიწის ნაკვეთში;

2 სამეზობლო მიჯნის მხარეს, საკადასტრო საზღვრიდან შენობის კიდემდე 5 მეტრზე ნაკლები მანძილით დაშორებისას, სამშენებლო მასალად გამოყენებული უნდა იქნას ცეცხლგამძლე–არაწვადი მასალა ან მისი ზედაპირი დამუშავებული უნდა იქნას ცეცხლგამძლე ხსნარით;

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge